



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ლიტერატურის დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა:
ქართული ლიტერატურის ისტორია

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:
ჰუმანიტარული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართულ ლიტერატურაში

პროგრამის მოცულობა:
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ქუთაისი
2008

1. პროგრამის მიზნები და ამოცანები

პროგრამის უმთავრესი მიზანდასახულობაა ქართული მწერლობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენციები და პრობლემური საკითხები შესწავლილ და გააზრებულ იქნას მსოფლიო ლიტერატურის შესაბამის მოვლენებთან მიმართებით.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია სათანადო მეცნიერული და ისტორიულ-დოკუმენტური მასალების შესწავლის საფუძველზე მოამზადოს ქართული ლიტერატურის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მაგისტრატურის დონეზე. ამ მიზნით მაგისტრანტები პროფესიულად გაერკვევიან ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერულ კვლევასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხების არსში, გამოიმუშავენ საამისოდ საჭირო უნარ-ჩვევებს, შეისწავლიან სამეცნიერო ნაშრომის დაწერის წესებს, მოახდენენ ამ ნაშრომების პრეზენტაციას და ა. შ.

მოსალოდნელი შედეგი: სამაგისტრო პროგრამა მაგისტრს გამოუმუშავებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარს; მოამზადებს მას მეცნიერული კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის; ჩამოუყალიბებს საკუთარი შეხედულებების არგუმენტირებულად გადმოცემისა და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემური საკითხებისადმი მისეული თვალთახედვით მიდგომის უნარ-ჩვევებს.

2. კურსდამთავრებულთა დასაქმება

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლის გაგრძელება დოქტორანტურაში, შესაბამისი პროფილით მუშაობა სასწავლო დაწესებულებებში, გამომცემლობებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, რადიო-ტელევიზიაში, მუზეუმებსა და მსგავსი ტიპის სტრუქტურებში.

3. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	დისციპლინის დასახელება	გამოცდა	სააუდიტორიო მუშაობა							საათების განაწილება ერთი კვირის ფარგლებში						
			ჩათვლა	სთ. ს უ დ	ლექცია	პრაქტიკული	კრედიტების რაოდენობა სემესტ. მის.					I კურსი		II კურსი		
							I	II	III	IV	სულ	I	II	III	IV	
საგადასმელი საგნები																
1	ძველი ქართული მწერლობის აქტუალური პრობლემები	1		36	24	12	5					5	3			
2	ფოლკლორულ-მითოსური სიუჟეტები, სახეები და მოტივები ქართულ ლიტ-ში	1		36	24	12	5					5	3			
3	რუსთველოლოგიის აქტუალური პრობლემები თანამედროვე მეცნიერებაში	1		36	24	12	5					5	3			
4	XIX საუკუნის ქართული ლიტ-რის აქტ. პრობლემები	2		45	30	15		5				5	3			
5	ქართული ემიგრანტული მწერლობა	2		45	30	15		5				5	3			
6	XX საუკუნის ქართული მწერლობის აქტუალური პრობლემები	3		48	30	18			5			5		3		
7	მოდერნიზმი და ავანგარდიზმი ქართულ მწერლობაში		3	36	20	16			5			5		3		
8	თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი	3		36	20	16			5			5		3		
9	ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობანი	3		36	20	16			5			5		3		
10	uxo ena	2	1	90		90	5	5				10	3	3		
11	საკურსო სამუშაო								5			5				
12	პროფესიული პრაქტიკა									5		5				
13	სამაგისტრო ნაშრომი										30	30				
არჩევითი საგნები																
1	ქართული სასულიერო ლირიკის პრობლემური საკითხები ან განათლების ისტორია		1	30	20	10	5					5	2			
2	პოეტური ეპოსი ადრინდების ხანის ქართულ მწერლობაში ან განათლების ფსიქოლოგია		1	30	20	10	5					5	2			
3	ლიტერატურული მიმდინარეობანი XIX ს. ქართულ მწერლობაში ან განათლების პედაგოგიური ტექნოლოგიები		2	30	20	10		5				5	2			
4	XIX ს. ქართველ მწერალთა შემოქმედებითი პროცესი ან პედაგოგიის კვლევის მეთოდოლოგია		2	30	20	10		5				5	2			
5	ლიტერატურული დაჯგუფებანი XX ს. ქართულ მწერლობაში ან ტექსტოლოგიის პრობლემური საკითხები		3	30	20	10			5			5		2		
	სასწავლო პრაქტიკა									5		5				
	სულ:	9	7	591	320	271	30	30	30	30	120	16	13	15		

4. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.